

ირინა პოპოვა

ალა ანისიმოვა

ირინა ბეზროდნიხი

ოლეს ჰონჩარის სახელობის

დნეპროპეტროვსკის ეროვნული უნივერსიტეტი

მულტილინგვური და მულტიკულტურული კურიკულუმი მაგისტრატურის საფეხურისათვის: ოლეს ჰონჩარის სახელობის დნეპროპეტროვსკის ეროვნული უნივერსიტეტის გამოცდილება

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს ოლეს ჰონჩარის სახელობის დნეპროპეტროვსკის ეროვნული უნივერსიტეტის გამოცდილების გაზიარებას მულტილინგვური და მულტიკულტურული სამაგისტრო კურიკულუმის შექმნის კუთხით. სტატიაში განვიხილავთ „ინგლისურ ენასა და ლიტერატურისა“ „მულტილინგვური განათლების“ სპეციალობების მაგალითებს. ნაშრომის პირველ ნაწილში განვმარტავთ მულტილინგვიზმის ცნებას და განსხვავებას მულტილინგვიზმისა და პოლიგლოტიზმის ცნებებს შორის. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბოლონის პროცესის უმთავრეს პრინციპებს და უკრაინის უმაღლესი განათლების სისტემაში მათი განხორციელების თავისებურებებს. ასევე განვიხილავთ ბილინგვური და მულტილინგვური განათლების განმასხვავებელ თავისებურებებს. სტატიის მეორე ნაწილი მოიცავს სამაგისტრო კურიკულუმში მულტილინგვური განათლების პრინციპების პრაქტიკული განხორციელების აღწერას. კურიკულუმი ეყრდნობა ევროპის ზოგად რეკომენდაციებს ენების ფლობის შესახებ და განსაზღვრავს კომპეტენციებსა და მისაღწევ შედეგებს ზოგადად კურიკულუმისათვის და თითოეული სილაბუსისათვის ინდივიდუალურად. აღნიშნული კომპეტენციები აღწერილია და გარკვეულწილად შეცვლილია უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ და ითვალისწინებს უმაღლესი და მულტილინგვური განათლების მოთხოვნებს. ზემოხსენებული სპეციალობის სამაგისტრო საფეხურის კურიკულუმი შედგება ხუთი ნაწილისაგან. თითოეული ნაწილი მოიცავს ECTS კრედიტების გარკვეულ ოდენობას ევროპის უმაღლესი განათლების მოთხოვნების შესაბამისად. თითოეული ნაწილი სხვადასხვა დისციპლინისაგან შედგება. აღნიშნული დისციპლინების შესწავლის შემდეგ განისაზღვრება მისაღწევი შედეგები და კომპეტენციები. ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ მულტილინგვური განათლება არის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა წარმატების მისაღწევად, ისევე როგორც ენებისა და ენობრივი კულტურების შესწავლა განსაზღვრავს მულტილინგვური, პოლიკულტურული პიროვნების ჩამოყალიბებას.

საკვანძო სიტყვები: მულტილინგვიზმი, მულტილინგვური განათლება, კურიკულუმი, სილაბუსი, კომპეტენციები, სწავლის შედეგები, სპეციალიზაცია, კროსკულტურული კომუნიკაცია.

შესავალი

დღესდღეობით მულტილინგვიზმი და მულტილინგვური განათლება საგანმანათლებლო პროცესის „მოდური ტრენდია“

და თანამედროვე ევროპის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს. თუმცა, ეს მოვლენა საუკუნეების წინაც არსებობდა, მაგრამ პოპულარობა და სპეციალისტების

განსაკუთრებული ყურადღება კიდევ ერთხელ მოიპოვა 21-ე საუკუნის დასაწყისში, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობები და მობილობა ადამიანების ცხოვრებისა და პროფესიული აქტივობის უმთავრესი ნაწილი გახდა. მულტიკულტურული მრავალფეროვნება, ინტერკულტურული კომუნიკაცია, გლობალური სოციო-პოლიტიკური და კულტურული კავშირები თანამედროვე მსოფლიოს საერთო რეალობად იქცა და თითოეულმა განხილულმა მიზეზმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინა საგანმანათლებლო სისტემაზეც.

დღესდღეობით მულტიკულტურული განათლება ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას, გახდნენ გლობალიზებული და პოლიკულტურული სოციუმის კონკურენტუნარიანი და კომპეტენტური წევრები. თუმცა, ეს არ არის ადვილად მისაღწევი მიზანი. ბევრი პასუხგაუცემელი შეკითხვა და მოსაზრება არსებობს მულტილინგვური საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელების, კურიკულუმისა და სილაბუსების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მოთხოვნების მიმართულებით, თუმცა მულტილინგვურ განათლებაში ბევრი რამ ჩვენთვის ნაცნობია და გასაგები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ემპირიული კვლევებიდან გამომდინარე.

წინამდებარე სტატია ეყრდნობა ოლეს ჰონჩარის სახელობის დენპროპეტროვსკის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის ზოგადსაგანმანათლებლო და მულტილინგვური განათლების დანერგვის გამოცდილებას. აღნიშნული დეპარტამენტი მუშაობდა „ინგლისური ენისა და ლიტერატურის“ სპეციალობის კურიკულუმზე, „მულტილინგვური განათლების“ კუთხით ტემპუსის (DIMTEGU) პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოსა და უკრაინის უნივერსიტეტებში. წინამდებარე სტატიის მიზანია პოლიკულტურული, მულტილინგვური, შემოქმედებითად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბების კუთხით დენპროპეტროვსკის ეროვნული უნივერსიტეტის გამოცდილების გაზიარება.

თეორია

ცნობილი ფაქტია, რომ ენა საკომუნიკაციო და კულტურათა შემაკავშირებელი ინსტრუმენტია. თუმცა მისი მნიშვნელობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. წარმოგიდგენთ ენის სამ უმთავრეს, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ფუნქციას:

უპირველეს ყოვლისა, ენის საშუალებით ვაყალიბებთ აზრს და მისივე დახმარებით ვუზიარებთ სხვებს. ამასთანავე, ენა ხელს უწყობს

ურთიერთთანამშრომლობას. ჩვენ ზეგავლენას ვახდენთ სხვებზე ჩვენი შეხედულებებისა და შეგრძნებების გამოხატვის გზით. გარდა ამისა, ენა არის დამახსოვრების, გახსენების, უნარების, იდეებისა და ღირებულებების გადაცემის საშუალება.

განხილული ფუნქციები ადასტურებს, რომ ენა და კულტურა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში, მაშინ, როცა ქვეყნებს შორის საზღვრები იხსნება და საკომუნიკაციო შესაძლებლობები იოლი და პრიორიტეტული ხდება. ენისა და კულტურის კავშირი ასევე მნიშვნელოვანია მულტილინგვიზმისა და პოლიგლოტიზმის კონტექსტშიც. უელსელმა მკვლევარმა ე. გ. ლევისმა დაწერა: „პოლიგლოტიზმი ადამიანთა საზოგადოებების ძალიან ადრეული მახასიათებელია. მონოლინგვიზმი კულტურის ლიმიტია. საეჭვოა, რომელიმე ენამ ან თემმა იარსებოს სხვა ენებისაგან იზოლირებულად...“ [8; გვ. 150].

მულტილინგვიზმი თანამედროვე სამყაროს საერთო მოვლენად იქცა და მისი განხილვა სხვადასხვა პერსპექტივიდანაა შესაძლებელი. ევროსაბჭო განიხილავს განსხვავებას პლურილინგვიზმსა, როგორც მოსაუბრის კომპეტენციასა (ერთზე მეტი

ენის გამოყენების უნარების ფლობა) და მულტილინგვიზმს, როგორც კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში სხვადასხვა ენის თაანარსებობის მოვლენას შორის. ევროკავშირი ორივე განხილულ შემთხვევაში იყენებს მულტილინგვიზმის ცნებას (ხანდახან გამოყოფს „ინდივიდის მულტილინგვიზმს“) [9; გვ.14].

როგორც დემოკრატიული ორგანიზაცია, ევროკავშირი საკუთარ მოქალაქეებთან საკომუნიკაციოდ მათსავე ენებს მიმართავს. იგივე ეხება სახელმწიფო მმართველობებსა და სამოქალაქო სამსახურებს, ბიზნესსა და სხვა ორგანიზაციებს ევროკავშირის ფარგლებში. ევროპელებს აქვთ უფლება, იცოდნენ, რა კეთდება მათი სახელით. მათ ასევე უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა. იყვნენ აქტიური მოქალაქეები სხვა ენების ცოდნის გარეშე [10].

აღნიშნული ფაქტი ადასტურებს, რომ გზა მულტილინგვიზმისაკენ არის სხვადასხვა აქტივობების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერას. ის გულისხმობს ორი უცხო ენის შესწავლას სხვადასხვა აქტივობების საშუალებით, რომელთა მიზანიც ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებაა. ამ შემთხვევაში უცხო ენის შესწავლის დრო იზრდება. უფრო მეტიც, მულტილინგვიზმი არის

ერთ-ერთი კომპეტენცია, რომელსაც თანამედროვე სპეციალისტი უნდა ფლობდეს წარმატებული კარიერის შესაქმნელად. აღნიშნული მოსაზრება ევროკავშირის არსებობის მანძილზე ადრიდანვე ერთ-ერთი მთავარი იყო ევროპული პოლიტიკის ფარგლებში.

გარდა ამისა, „ბოლონიის პროცესი“, რომელმაც შექმნა სისტემა და თანამედროვე ევროპული უმაღლესი განათლების პრინციპები „მხარს უჭერს ლინგვისტურ პლურალიზმს, რაც გულისხმობს ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაში მულტილინგვური ტრადიციის ჩამოყალიბებას და ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობასა და კონკურენციას“ [11]. უფრო მეტიც „ბოლონიის პროცესის“ მიზანია, დაეხმაროს და ხელი შეუწყოს მობილობას, შესაბამისად, სტუდენტები დაეუფლებიან ისეთ უნარებს, როგორცაა, მაგალითად, კულტურული სიმჭიდვე, სანდოობა და ენობრივი უნარების ფლობა და ესოდენ მნიშვნელოვანია მსოფლიო ბაზარზე” [5].

2005 წელს უკრაინაში, ისევე, როგორც დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, დაიწყო ბოლონიის პროცესი, რომელმაც სრულიად შეცვალა ქვეყნის სასწავლო გამოცდილება. კერძოდ, 2005-2015 წლებში უკრაინის უმაღლესი

განათლების პოლიტიკის ექსპერტები და შემსრულებლები მუშაობდნენ ისეთ საკითხებზე, როგორცაა კრედიტების სისტემა, სტუდენტთა მობილობის პრინციპები და სხვა. მსგავსმა სწრაფმა ცვლილებებმა განათლების სისტემაში ვერ შეძლო ზეგავლენა მოეხდინა უცხო ენების სწავლების მეთოდებზე. მაშინ, როდესაც უცხო ენების როლი და მნიშვნელობა ძნელად შესაფასებელია მიმდინარე ევროინტეგრაციის პირობებში.

წინამდებარე სტატიის მიზანია, ასახოს მულტილინგვური და მულტიკულტურული მიმართულებების მქონე კურიკულუმის თავისებურებები „ინგლისური ენისა და ლიტერატურის“ სპეციალობის მაგალითზე დაყრდნობით და ბოლონიის პროცესის „მულტილინგვური განათლების“ ჭრილში. კურიკულუმი შეიქმნა ოლეს ჰონჩარის სახელობის დნეპროპეტროვსკის ეროვნული უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის მიერ ტემპუსის პროექტის „მულტილინგვალ მასწავლებელთა მომზადების პროგრამების შექმნა და დანერგვა საქართველოსა და უკრაინის უნივერსიტეტებში“ ფარგლებში.

როდესაც ადამიანი საუბრობს თუნდაც მხოლოდ ერთ უცხო ენაზე, ეს მას აძლევს უფრო მეტ შესაძლებლობებს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, როგორცაა კარიერა,

მოგზაურობა, ინტერპერსონალური ურთიერთობები სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან და სხვა. მაშასადამე, რა არის მულტილინგვური განათლების არსი? რითაა ის დაკავშირებული პიროვნულ წარმატებასთან?

აღსანიშნავია, რომ მულტილინგვური განათლების ძირითადი ასპექტები შესწავლილ იქნა მსოფლიოს სხვადასხვა მკვლევრის მიერ. ფაქტია, რომ ბილინგვური და მულტილინგვური განათლება არის „ზოგადი ტერმინები, რომელიც წლების წინ გვხვდებოდა ლიტერატურაში და გულისხმობდა ორი ან მეტი ენის გამოყენებას სწავლა-სწავლების პროცესში, როდესაც ბი/მულტილინგვიზმი და ორენოვანი წიგნიერება წარმოადგენენ გრძელვადიან მიზნებს“ [1; გვ. 3-4].

უფრო დეტალურად, ბილინგვური განათლება განისაზღვრება, როგორც სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი კონცეფცია, რომელიც უზრუნველყოფს სისტემატურ სწავლებას ორ ან რამდენიმე ენაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მულტილინგვური განათლების ძირითადი პრინციპები მოკლედ წარმოდგენილია ქვემოთ:

- ორი ენის, როგორც სწავლების ინსტრუმენტების, გამოყენება განსაზღვრულ სფეროში ან სასკოლო საგნებში, რომლებიც

წარმოადგენენ სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს;

- აღნიშნული ენების პროგრესული განვითარება სასკოლო გარემოში;
- შინაარსზე დაფუძნებული სწავლებით ცნობილი საგანმანათლებლო მიდგომის ზოგიერთი ფორმის დანერგვა სწავლების პროცესში;
- კლასში რომელიმე ენობრივი ჯგუფის წარმომადგენელ მოსწავლეთა ზოგადი აკადემიური მიღწევები, ასევე მათი კოგნიტური განვითარება გასათვალისწინებელია, მიუხედავად კლასში რომელიმე კონკრეტული ენის გამოყენებისა [1; გვ. 4].

გარდა მოცემული საბაზისო პრინციპებისა, გასათვალისწინებელია პრაქტიკული სწავლება, რომელიც დამოკიდებულია სპეციფიკურ საგანმანათლებლო კონტექსტზე, სადაც ხორციელდება ბილინგვური განათლება.

როგორც ვხედავთ, მულტილინგვური განათლება ფართო ცნებაა, ის არის:

- 1) მულტილინგვური, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში იყენებს ერთზე მეტ ენას;
- 2) ინტერკულტურული, რომელიც აღიარებს და აფასებს სხვადასხვა ცხოვრებისეულ გამოცდილებებსა და

კულტურულ შეხედულებებს შორის დიალოგს;

- 3) განათლება, რომლის ათვლის წერტილია მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემა არა მხოლოდ საკლასო გარემოში, არამედ მათი ჩამოყალიბება სოციუმში დამოუკიდებელ პიროვნებად, როგორც ადგილობრივ, ასევე სახელმწიფო და გლობალური მასშტაბებით [7; გვ. 198].

მულტილინგვური განათლების თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია, რომ ენათვითონ ქმნის საკუთარ დინამიკას და მუდმივად განიცდის ცვალებადობასა და ზეგავლენას სხვადასხვა საზოგადოებრივი საკომუნიკაციო მოდელებისაგან. საგანმანათლებლო პოლიტიკის შემქმნელებისათვის რთული იყო ენების, სასკოლო გარემოსა და კურიკულუმის მნიშვნელობების დაბალანსება. ვინაიდან არსებობს საგანმანათლებლო არგუმენტები მშობლიურ ენაზე სწავლების სასარგებლოდ, მნიშვნელოვანია ბალანსის გათვალისწინება იმ ადამიანებს შორის, რომლებიც სწავლობენ ადგილობრივ ენაზე, და იმ ადამიანებს შორის, რომლებიც იყენებენ სხვადასხვა ენას საგანმანათლებლო პროცესში [4].

ყველა განხილული თვალსაზრისი და პრინციპი გათვალისწინებული იქნა მულტილინგვური და მულტიკულ-

ტურული მიმართულების მქონე სამაგისტრო კურიკულუმზე მუშაობის პროცესში; კერძოდ, „ინგლისური ენისა და ლიტერატურის“ სპეციალობაში ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის მიერ. გარდა ამისა, ენის ფლობის ზოგადევროპული ჩარჩო გამოყენებულ იქნა კურიკულუმის შექმნის პროცესში თითოეულ სილაბუსში კომპეტენციების განსაზღვრისათვის.

განხილული სპეციალობის ფარგლებში, განსაზღვრულ პერიოდში მიღებული ცოდნა დაეხმარება პროფესიონალებს, გადაჭრან უკრაინისა და ევროკავშირის ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში განათლებისა და კულტურის სფეროში არსებული პრობლემები. ასევე მოაგვარონ უკრაინის ინტეგრაციის საკითხები ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და ითანამშრომლონ სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციებსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. გარდა ამისა, მულტილინგვური სწავლება ხელს შეუწყობს ინტერნაციონალური საგანმანათლებლო პროექტების შექმნასა და განხორციელებას.

„მულტილინგვური განათლების“ მაგისტრებს მიენიჭებათ საერთაშორისო მეცნიერების კვალიფიკაცია. ისინი პრივილეგირებულნი იქნებიან როგორც ქალაქებსა და რეგიონებში, ასევე სრულიად ევროკავშირის ფარგლებში (მათი

საგანმანათლებლო სისტემები, გეოგრაფია, ისტორია, პოლიტიკური, კულტურული, ეთნიკური და სულიერი განვითარება და სხვ.). მათ შეუძლიათ ასწავლონ უცხო ენები და გამოიყენებენ მულტილინგვური მიდგომები სხვადასხვა საგნის სწავლების დროს. კურსდამთავრებულები დაეუფლებიან სათანადო უნარებს, მოამზადონ და განახორციელონ საერთაშორისო მნიშვნელობის საგანმანათლებლო პროექტები.

ანალიზი და შედეგები

დნეპროპეტროვსკის ეროვნული უნივერსიტეტი მდებარეობს დნეპროპეტროვსკის რეგიონში, რომელიც არის ბილინგვური, ვინაიდან აქ მცხოვრები ადამიანები საუბრობენ, ან სულ მცირე - ესმით ორი ენა (უკრაინული და რუსული). როდესაც სტუდენტი აბარებს დნეპროპეტროვსკის ეროვნულ უნივერსიტეტში ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, მას სურს დაეუფლოს უცხო ენას, ინგლისურს. მიღებული ცოდნის დამადასტურებელია დამოუკიდებელი ტესტირების საფუძველზე გაცემული სერტიფიკატი. სწავლის პირველ წელს, სტუდენტი ასევე შეისწავლის მეორე უცხო ენას (ფრანგული, გერმანული, ესპანური არჩევით), გარდა ამისა, მათ შეუძლიათ ასევე ისწავლონ მესამე უცხო ენაც სწავლის პირველსავე წელს (ფრანგული, გერმანული,

ესპანური, იტალიური, პორტუგალიური, იაპონური, ჩინური, თურქული - არჩევით). ხოლო როდესაც სტუდენტი სამაგისტრო საფეხურზე ირჩევს სპეციალობას „მულტილინგვური განათლება“ ის შეისწავლის მხოლოდ ერთ ძირითად (ინგლისური) და ერთ დამატებით უცხო ენას. ამ შემთხვევაში მულტილინგვიზმი არა მხოლოდ მიზანი, არამედ სწავლების საშუალება ხდება.

კურიკულუმის ანალიზი

დნეპროპეტროვსკის ეროვნული უნივერსიტეტის „ინგლისური ენისა და ლიტერატურისა“ და „მულტილინგვური განათლების“ სპეციალობების სამაგისტრო კურიკულუმის მიზნებია:

- ფილოლოგიური კვლევების სფეროში არსებული ტენდენციების, კულტურული და ენობრივი ინტერაქციის შედეგების მეცნიერული ანალიზის მეთოდების გაცნობა;
- კროსკულტურული და მულტილინგვური ანალიზის სრულყოფილი ცოდნა, ასევე ევროპის პლურიკულტურული და მულტილინგვური გარემოს განსაზღვრული ფენებისა და ჯგუფების კულტურული და სოციალური

- თავისებურებების დიფერენცირების უნარების განვითარება;
- ენის სწავლების აქტივობების საშუალებით სათანადო ცოდნის დაუფლება, განსხვავებული ენობრივი სისტემების შედარება-შეპირისპირების ცოდნა;
 - თანამედროვე პლურიკულტურული გარემოსათვის დამახასიათებელი სამეცნიერო ფილოლოგიური ტერმინოლოგიის ცოდნა;
 - სათანადო ტექნოლოგიების გამოყენებით საკლასო ოთახში საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და სტატიების კლასიფიკაციის უნარების ფლობა;
 - სტუდენტებისათვის პედაგოგიური უნარების განვითარება;
 - თანამედროვე კვლევის ფილოლოგიური მეთოდოლოგიის საკითხების გაცნობა. ფილოლოგიური სამეცნიერო კვლევის ალგორითმების გამოკვლევა;
 - თანამედროვე ტექნიკური სისტემების გამოკვლევა, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება;
 - უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციებისათვის სილაბუ-

სების წერის მეთოდების დაუფლება;

- ენის სწავლების აქტივობების საშუალებით სათანადო ცოდნის მიღება და პირველი უცხო ენის საშუალებით მეორე უცხო ენის დეტალური კვლევა;
- უცხო ენის სწავლების თანამედროვე მიდგომების გაცნობა, ბოლონიის პროცესის შესაბამისად უცხო ენის სწავლებისათვის საჭირო პროფესიული და პედაგოგიური უნარების განვითარება;
- ენის შესწავლისა და გამოყენების მიმართ ინტერესის გაღვივება, ასევე კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნებისათვის საჭირო უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- ცოდნის დაგროვებაზე დაფუძნებული თეორიების ანალიზი და ადამიანური რესურსების აკუმულაციის მოდელების განხილვა.

აღნიშნული კურიკულუმი ავითარებს ქვემოთ მოცემულ სოციალურ და პიროვნულ კომპეტენციებს:

- მულტიკულტურული ქცევის ეთიკური ნორმების გააზრება და გაგება;

- ბიოეთიკური პრინციპების დაცვა; პერსონალური პროფესიული აქტივობის პრიორიტეტების იდენტიფიცირებისა და მათი პრაქტიკაში განხორციელების უნარები;
- ჯანსაღი ცხოვრების სტილის საჭიროებების გააზრება და დაცვა;
- სწავლისა და სწავლების უნარები; სპეციფიკურ კროსკულტურულ გარემოში ცოდნის მიღების, ყოველდღიურ და პროფესიულ საქმიანობასთან შესაფერისი ახალი სპეციფიკური უნარ-ჩვევების გამომუშავების უნარები;
- კრიტიკისა და თვითკრიტიკის შესაძლებლობა; პიროვნული ქმედებების ანალიზის, რეგულირებისა და კონტროლის უნარები;
- შემოქმედებითობა, სისტემური ანალიტიკური აზროვნება;
- ადაპტაციისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარები;
- მიზანდასახულობა.

სწავლის პროცესში სტუდენტი დაეუფლება ქვემოთ ჩამოთვლილ ზოგად სამეცნიერო და გამოყენებით კომპეტენციებს:

- საბაზისო ცოდნა ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, პედაგოგიკასა და

მულტილინგვურ განათლებაში; აღნიშნული ცოდნა სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას გააანალიზოს საკუთარი კულტურა, ზოგადი მულტიკულტურული და სოციალური განვითარება, ეთიკური ღირებულებები, ეროვნული ისტორია, ეკონომიკა და სამართალი, გააზროს სოციალური მიზეზშედეგობრივი კავშირები და აღნიშნული უნარები გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობაში;

- ინტერნეტტექნოლოგიების საბაზისო ცოდნა და გამოყენების უნარები;
- უკრაინულ ენაზე ზეპირი და წერიტი მეტყველების უნარები;
- უკრაინული და უცხო ენის თანაბარი ფლობა ძირითადი საკომუნიკაციო კომპეტენციების კუთხით (საუბარი, კითხვა, მოსმენა-გააზრება, წერა). ფონეტიკური, ლექსიკური და გრამატიკული კომპეტენციების ქონა ინგლისურ, მეორე და მესამე უცხო ენაში;
- საბაზისო კომპიუტერული უნარები; პროფესიულ სფეროში თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება; ინფორ-

მაციის მოგროვების, ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენების, პროექტების წერისა და ინფორმაციის ანალიზის უნარები.

გარდა ამისა, „მულტილინგვური განათლების“ სპეციალობა მიზნად ისახავს ქვემოთ ჩამოთვლილი ძირითადი პროფესიული და სპეციალიზებული პროფესიული კომპეტენციების განვითარებას:

- ლინგვისტური სისტემის სრულყოფილი ცოდნა, რომელიც მოიცავს ძირითად ფონეტიკურ, ლექსიკურ, გრამატიკულ, სიტყვაწარმოების ძირითადი და მეორე უცხო ენის ფუნქციონირების პრინციპებისა და მათი განსხვავებულობის ცოდნას;
- სხვადასხვა პროფესიული სფეროდან არსებული ცოდნის სტრუქტურირება და ინტეგრირება, აღნიშნული ცოდნის გამოყენება სხვადასხვა პროფესიული ამოცანების გადასაჭრელად;
- უკრაინული, რუსული, ინგლისური, გერმანული / ფრანგული ენების ლინგვისტური შედარების მეთოდების ცოდნა;
- ენობრივი ერთეულების გამოყენებისას, მშობლიურ, ძირითად

და მეორე უცხო ენაში პოტენციური შეცდომების გამოვლენა;

- აღნიშნული შეცდომების გამოსწორების გზების პოვნა;
- განსხვავებული ენობრივი სტრუქტურის მქონე ენების ლინგვისტური შედარების მეთოდებისა და პრინციპების ცოდნა.

მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, რომ მულტიკულტურული განათლების სამაგისტრო კურიკულუმის კომპეტენციები შეიძლება განისაზღვროს კურიკულუმის სასწავლო შედეგების მიხედვით, ანუ სასწავლო პროცესისათვის სათანადო ცოდნისა და უნარების ფლობის მიხედვით. კურიკულუმით გაწერილი მისაღწევი შედეგები აღწერილია ქვემოთ. „ინგლისური ენისა და ლიტერატურისა“ და „მულტილინგვური განათლებისათვის“ გაწერილი კომპეტენციები მიიღწევა ხუთი ბლოკისაგან შემდგარი ქვემოთ ჩამოთვლილი დისციპლინებისა და მათი შესაბამისი კომპეტენციების განვითარების მიხედვით.

მულტილინგვური განათლების სამაგისტრო საფეხურის კურიკულუმი შედგება ორი-სავალდებულო და არჩევითი ნაწილისაგან. მთლიანი კურიკულუმი მოიცავს 3240 საათს (90 ECTS).

სავალდებულო ნაწილი მოიცავს სამ ბლოკს და თითოეული მათგანი შედგება საგნებისა და შესაბამისი საათების / კრედიტებისაგან. პირველი ბლოკის სახელწოდებაა პროფესიული მიმართულების ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური სწავლების დისციპლინები. იგი მოიცავს ოთხ დისციპლინას და 270 საათს (7,5 ECTS). მეორე ბლოკი წარმოადგენს პროფესიული მიმართულების ფუნდამენტალური სწავლების დისციპლინებს და შედგება ხუთი დისციპლინისაგან, შესაბამისი 378 საათით (10,5 ECTS). მესამე ბლოკი პროფესიული და პრაქტიკული სწავლების დისციპლინები მოიცავს ოთხ დისციპლინას და 1458 საათს (40,5 ECTS).

კურიკულუმის არჩევითი ნაწილი ორი ბლოკისაგან შედგება. მათგან პირველია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ არჩეული დისციპლინები, რომელიც მოიცავს ოთხ დისციპლინას და 792 საათს (22,0 ECTS) და სტუდენტების მიერ არჩეული დისციპლინები, რომელიც მოიცავს სამ დისციპლინასა და 342 საათს (9,5 ECTS)*.

* უკრაინის განათლების სამინისტრომ განახორციელა ცვლილებები ამ პერიოდისათვის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის სტანდარტში; შესაბამისად, შესაძლებელია ცვლილებები განიცადოს კრედიტებისა და საათების რაოდენობამაც.

პირველი ბლოკი პროფესიული მიმართულების ჰუმანიტარული და სოციოეკონომიკური სწავლების დისციპლინები მოიცავს ოთხ დისციპლინას: სამოქალაქო თავდაცვა, პროფესიული უსაფრთხოება, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია და დიდი ბრიტანეთის ისტორია.

სამოქალაქო თავდაცვისა და პროფესიული უსაფრთხოების კურსების მიზანია სამოქალაქო თავდაცვისათვის აუცილებელი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ფლობა, ტრენინგი პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანსაღი ცხოვრების შესახებ. აღნიშნული კურსები სავალდებულოა და ცვლილებები არ განუცდია.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია და დიდი ბრიტანეთის ისტორიის კურსებიც სავალდებულოა უკრაინის განათლების სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად. აღნიშნული კურსების სილაბუსებში დამატებით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მულტილინგვიზმსა და მულტიკულტურალიზმს.

მეორე ბლოკი მოიცავს პროფესიული მიმართულებების ფუნდამენტური სწავლების ხუთ დისციპლინას: სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია და სტრუქტურა, უმაღლეს სკოლებში ძირითადი მიმართულებების სწავლების მეთოდო-

ლოგია, ლიტერატურის თეორია, ზოგადი ლინგვისტიკა და მშობლიური, ძირითადი და მეორე უცხო ენების შედარებითი ლინგვისტიკის თანამედროვე ტენდენციები. აღსანიშნავია, რომ ოთხი მათგანი არ არის ახალი დისციპლინა, თუმცა მათ განიცადეს ცვლილება და განახლება „მულტილინგვური განათლების“ სპეციალობის მოთხოვნების შესაბამისად.

ამ ბლოკში აბსოლუტურ სიახლეს წარმოადგენს ძირითადი და მეორეული უცხო ენების შედარებითი ლინგვისტიკის თანამედროვე ტენდენციები. კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს სხვადასხვა ენაში, მაგალითად, უკრაინული, ინგლისური, გერმანული/ ფრანგული ენების ლინგვისტური ანალიზის ადაპტირებული მეთოდები და მიდგომები. კურსის ძირითადი ამოცანაა შედარებითი ლინგვისტიკის ტერმინოლოგიისა და თეორიების დაუფლება და სხვადასხვა ენაში არსებული საერთო ლინგვისტური შრეების თავისებურებების გამოკვლევა.

მესამე ბლოკი მოიცავს პროფესიული და პრაქტიკული სწავლების დისციპლინებს, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს ოთხ დისციპლინას: ძირითადი უცხო ენა (ინგლისური), მულტილინგვურ სწავლებაში სამეცნიერო-კვლევითი პროექტი სტუდენტებისათვის, პედაგოგიური პრაქტიკა და სადიპლომო ნაშრომი. აღნიშნულ

ბლოკში გაერთიანებული დისციპლინები უშუალოდაა დაკავშირებული „მულტილინგვურ განათლებასთან“ და მათი მიზანია მულტილინგვური და მულტიკულტურული კომპეტენციების განვითარება. საჭიროდ მიგვაჩნია, ქვემოთ აღნიშნული კურსების აღწერა შემოგთავაზოთ.

ძირითადი უცხო ენის (ინგლისური) კურსის მიზანია სწავლების მეხუთე წლისათვის (მაგისტრის ხარისხი) ინგლისური ენის კურიკულუმის შესაბამისად საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარება, რაც გულისხმობს სტუდენტებისათვის ინგლისურ ენაში მეტყველებისა და გააზრების უნარების ფლობას ინგლისურ ენაში, მშობლიურ ენაზე მოსაუბრეების შესაბამისად. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები დაეუფლებიან ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიულ უნარებს: ანოტირების, განხილვის, ანალიზის, სხვადასხვა ჟანრიდან ორიგინალი ინგლისური ტექსტების თარგმნის უნარებს.

კურსის ძირითადი ამოცანაა სხვადასხვა საკითხის შესახებ შესაფერისი სამეტყველო უნარების განვითარება.

კურსის - სამეცნიერო-კვლევითი პროექტი სტუდენტებისათვის მულტილინგვურ სწავლებაში - მიზანია კვლევის ჩატარება. კვლევის ამოცანაა შედარებითი ლინგვისტიკისათვის აუცილებელი (გრამა-

ტიკული ასპექტები, ლექსიკური ასპექტები, ფონეტიკური თავისებურებები) სამეცნიერო უნარების გამომუშავება, აგრეთვე უკრაინულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებში არსებული კროს-კულტურული საკითხების ანალიზი.

პედაგოგიური პრაქტიკა მიზნად ისახავს, სწავლებისათვის, კონკრეტული ასაკის მქონე მოსწავლეებთან დაგეგმილი გაკვეთილის მომზადების უნარების ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უმაღლესი განათლების სასწავლო პროცესის ორგანიზების გააზრებას და მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობის გააზრებას. კურსის ამოცანებია: 1) მაგისტრატურის სტუდენტებისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების თავისებურებებისა და სასწავლო აქტივობების სპეციფიკის გაცნობა; 2) პედაგოგიური პრაქტიკისა და მასწავლებლად მუშაობისათვის მულტილინგვური და პედაგოგიური მეთოდოლოგიის სწავლება.

სადიპლომო ნაშრომი. მულტილინგვური კურიკულუმის ფარგლებში სტუდენტებმა უნდა ჩაატარონ კვლევა და პრაქტიკაში გამოიყენონ ლინგვისტური დისციპლინების კურსებით მიღებული ცოდნა (სფეროები: ლინგვისტიკა, სტილისტიკა, ლინგვოსტილისტიკა)

ლინგვისტიკის შედარებითი და შეპირისპირებითი მიდგომების გამოყენებით. მათი ძირითადი ფოკუსია მულტილინგვიზმი და უკრაინულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებში არსებული კროსკულტურული ინტერაქცია. სადიპლომო ნაშრომის ამოცანებია: 1) დისციპლინებთან დაკავშირებული თეორიებისა და ტერმინოლოგიის სრულყოფილად დაუფლება; 2) სამეცნიერო სფეროში კრიტიკული აზროვნების განვითარება; 3) პროფესიული და სამეცნიერო მიმართლებებით თარგმნის უნარების განვითარება და სხვ.

სამაგისტრო კურიკულუმის **მეოთხე და მეხუთე ბლოკი** წარმოადგენს არჩევით ნაწილს, რაც გულისხმობს, რომ დისციპლინები არჩეულია ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ან სტუდენტების პირადი არჩევანის მიხედვით.

მეოთხე ბლოკი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ არჩეული დისციპლინები - შედგება ოთხი დისციპლინისაგან: მულტილინგვური განათლება თანამედროვე ევროკულტურულ სივრცეში, სოციოლინგვისტიკა, მეორე უცხო ენა (გერმანული ან ფრანგული) და სახელმწიფო გამოცდები.

აღსანიშნავია, რომ ამ ბლოკის პირველი ორი კურსი ახლად ჩამოყალიბებულია. კურსი მულტილინგვური განათლება

თანამედროვე ევროკულტურულ სივრცეში აბსოლუტური სიახლეა. კურსის მიზანია სტუდენტებისათვის თანამედროვე ევროკულტურულ სივრცეში მულტილინგვური განათლებისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება. შედეგად, სტუდენტს ეცოდინება როგორ შეძლოს სხვების მოტივაციის ამაღლება და ხელი შეუწყოს ენის შესწავლას (განსაკუთრებით იმ ენების შესწავლას, რომელსაც გააჩნიათ სპეციფიკური დანიშნულება).

სოციოლინგვისტიკის კურსიც ახლად შექმნილია სამაგისტრო საფეხურისათვის. კურსის მიზანია ენის სოციალური ბუნების, ფუნქციების, სოციალური ფაქტორებისა და მულტილინგვურ საზოგადოებაზე მისი როლის შესახებ ცოდნის გაღრმავება და განსხვავებულ ენობრივ სისტემებზე სოციალური ფაქტორების ზეგავლენის დიაქრონიულ ჭრილში განხილვა. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეეძლება გააანალიზოს კროსკულტურული კომუნიკაციები და მოახდინოს ევროპის პლურიკულტურულ სივრცეში არსებული კონკრეტული სოციალური ფენებისა და ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ლინგვისტური თავისებურებების დიფერენცირება.

მეორე უცხო ენის (გერმანული ან ფრანგული) შემსწავლელი კურსი მულტი-

ლინგვური განათლების ნაწილია, მისი ფართო გაგებით.

სახელმწიფო გამოცდა უზრუნველყოფს კურსის ფარგლებში ჩამოყალიბებული ცოდნისა და უნარების კონტროლს. გამოცდაზე სტუდენტისგან ელიან სამაგისტრო საფეხურის ფარგლებში დაუფლებული ცოდნისა და კომპეტენციების გამოვლენას. კურიკულუმის თანახმად, სახელმწიფო გამოცდა განთავსებულია მეოთხე ბლოკში, რაც გულისხმობს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს უფლება, დანიშნოს, ან უარი თქვას სახელმწიფო გამოცდაზე.

და ბოლოს, **მეხუთე ბლოკი**-სტუდენტების მიერ არჩეული დისციპლინები მოიცავს სამ დისციპლინას: ლიტერატურა, ინტერკულტურული კომუნიკაციის თეორია და ლინგვისტიკის ძირითადი პრობლემატიკა მშობლიური, ძირითადი და მეორე უცხო ენის შესწავლის პროცესში და ძირითადი უცხო ენის მრავალფეროვნება (ინგლისური ენა). მოცემულ ბლოკში სტუდენტებს ჩამოთვლილი დისციპლინებიდან თვითონ შეუძლიათ შეარჩიონ მათთვის საინტერესო საგანი. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ეს ბლოკი მოიცავს მულტილინგვური განათლების არსებით პრობლემატიკას და ხელს უწყობს მულტილინგვური და

მულტიკულტურული კომპეტენციების განვითარებას.

სამაგისტრო საფეხურისათვის განკუთვლილი კურიკულუმის მიზანია მულტიკულტურული და მულტილინგვური სწავლება და საერთო ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა. სამაგისტრო სწავლების მულტიკულტურული კომპონენტი ასევე მიზნად ისახავს უკრაინულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებს შორის კროსკულტურული ინტეგრაციის მხარდაჭერას. სწავლებისათვის ხელშემწყობი ფაქტორებია ბიბლიოთეკის რესურსები, ინტერნეტ-ტექნოლოგიები (მუდლის პლატფორმა), ვებ და ელექტრო რესურსები, რომლებიც ეხმარება სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს სწავლა-სწავლების პროცესში.

დასკვნა

დღესდღეობით კროსკულტურული, სოციალური და საგანმანათლებლო საკითხები უფრო მეტად ურთიერთდამოკიდებული გახდა და შესაბამისად გაიზარდა მულტიკულტურული სივრცეც. თანამედროვე უკრაინული საზოგადოებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მულტილინგვურ კომუნიკაციასა და მულტიკულტურულ კავშირებს. აღნიშნული ფაქტი განაპირობებს მულტილინგვური განათლების ამოცანების განსაზღვრას.

მულტილინგვური განათლება გვადლევს მულტიეროვნულ საგანმანათლებლო გარემოში ეფექტურად მუშაობის შესაძლებლობას.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა განხილული დისციპლინა ჩამოყალიბდა ევროპისა და უკრაინის უმაღლესი განათლების მოთხოვნების შესაბამისად და ფოკუსირებულია მულტილინგვურ და მულტიკულტურულ კომპონენტებზე. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი უნდა ფლობდეს ენის ფლობის ზოგადევროპული ჩარჩოს შესაბამის კომპეტენციებს, რათა იყოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი პიროვნება მსოფლიო დასაქმების ბაზარზე.

ხაზი გვინდა გავუსვათ, რომ აღნიშნული გამოცდილება სრულიად ინოვაციური იყო არა მხოლოდ დნეპროპეტროვსკის ეროვნული უნივერსიტეტის, არამედ მთლიანად დნეპროპეტროვსკის რეგიონისათვის. კურსების ძირითადი ნაწილის სილაბუსები შეიქმნა და განახლდა, სტუდენტების მულტილინგვური, მულტიკულტურული და კროსკულტურული კომპეტენციების განვითარების მიზნით. აღნიშნული კომპეტენციები კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებითად მნიშვნელოვანია „მულტილინგვური განათლებისათვის“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბელო-კონტესი, 2011 - Abello-Contesse Ch., Chandler P. M. Bilingual and Multilingual Education in the 21st Century: Building on Experience / Ch. Abello-Contesse, P. M. Chandler. – Multilingual Matters. – 352 p.
2. ზოგადევროპული ენობრივი კომპეტენციები, 2001 - Council of Europe. Common European Framework of Reference for Languages: Learning, Teaching, Assessment. Cambridge: Cambridge University Press. – 2001.
3. დიუვალი, ვეი, 2012 - Dewaele J., Wei L. Multilingualism, Empathy, and Multicompetence / J. Dewaele // International Journal of Multilingualism. - 2012. - P. 1-15.
4. განათლება მულტილინგვურ სამყაროში, 2003 - Education in a Multilingual World. UNESCO Education Position Paper. – 2003. – 39 p.
5. ბოლონიის პროცესის გზამკვლევი - Guide to the Bologna Process. The UK HE Europe Unit // <http://www.unl.pt/data/qualidade/bolonha/guide-to-the-bologna-process.pdf>
6. ჰორნბერგი, ვეიში, 2008 - Hornberger N., Vaish V. Multilingual Language Policy and School Linguistic Practice: Globalization and English-language Teaching in India, Singapore and South Africa / N. Hornberger, V. Vaish // Compare: A Journal of Comparative and International Education. - 2008. - P. 1-15.
7. ჰორნბერგი, 2009 - Hornberger, N. H. Multilingual Education Policy and Practice: Ten Certainties (Grounded in Indigenous Experience) / H. h. Hornberger. – Language Teaching. – 42 (2) – 2009. – P. 197-211.
8. ლუისი, 1976 - Lewis E. G. Bilingualism and bilingual education: The ancient world to the renaissance / E. G. Lewis // J. A. Fishman (Ed.), Bilingual education: An international sociological perspective. – Rowley, MA: Newbury House, 1976. – P. 150–200.
9. მრავალენოვანი ევროპა, 2008 - Multilingual Europe: Reflections on Language and Identity / Ed. by J. Warren and H. M. Benbow. – Cambridge, 2008.
10. მრავალენოვანობა ევროკავშირში, 2015 - Multilingualism in the European Union // [http:// www.ecose.org/gr8parents_files/multilingualism_in_eu.doc](http://www.ecose.org/gr8parents_files/multilingualism_in_eu.doc)
11. ბოლონიის პროცესი 2020, 2009 - The Bologna Process 2020 – The European Higher Education Area in the new decade Communiqué of the Conference of European Ministers Responsible for Higher Education, Leuven and Louvain-la-Neuve, 28-29 April 2009 // <http://www.ond.vlaanderen>.

be/hogeronderwijs/bologna/conference/documents/leuven_louvain-la-
neuve_communicu%C3%A9_april_2009.pdf

12. ვილტონი, 2009 - Wilton A. Multilingualism and foreign language learning / A. Wilton // Handbook of Foreign Language Communication and Learning, K. Knapp & B. Seidlhofer (eds). – Berlin: Mouton de Gruyter, 2009. – P. 45-78